

შპს სი ეიჩ გრუპი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	8
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	10
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები-----	11
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები-----	12
7. მარაგები -----	12
8. სესხები -----	12
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები -----	12
10. ამონაგები -----	13
11. თვითღირებულება -----	13
12. სხვა შემოსავალი -----	13
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები -----	14
14. მიწოდების ხარჯები -----	14
15. სხვა შემოსულობა/ზარალი -----	15
16. სხვა ხარჯები -----	15
17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და შეფასებები	15
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის მდგომარეობით

		12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	298,266	186,996
საინვესტიციო ქონება	4	-	-
ბიოლოგიური აქტივი	5	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	6	-	-
		298,266	186,996
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	135,931	21,487
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8	384,131	385,152
მარაგები	9	971,879	955,939
		1,491,941	1,362,578
მთლიანი აქტივები			
		1,790,207	1,549,574
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		583,344	(781,013)
		583,344	(781,013)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	174,323	258,905
ანარიცხები	12	-	-
გადავადებული შემოსავალი	13	-	-
		174,323	258,905
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	1,080,618	2,071,599
გადასახდელი ხელფასები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		(48,078)	84
გადასახდელი პროცენტი		-	-

გადასახდელი დივიდენდი	-	-
	1,032,540	2,071,683
მთლიანი ვალდებულებები	1,206,862	2,330,587
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	1,790,207	1,549,574

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2025 წლის 07 რს:
ვახტანგ ქაცარავა
 დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

		2024	2023
ამონაგები	15	8,635,663	2,898,638
თვითღირებულება	16	(5,749,874)	(2,514,420)
საერთო მოგება		2,885,789	384,218
სხვა შემოსავლები	17	-	3,118
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	18	(1,445,855)	(1,005,442)
მიწოდების დანახარჯები	19	(35,807)	(18,076)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	20	(14,112)	46,494
სხვა ხარჯები	21	(5,458)	(2,180)
წილი მეკავშირის მოგებაში	6	-	-
საოპერაციო მოგება		1,384,557	(591,870)
ფინანსური შემოსავალი	22	-	-
ფინანსური ხარჯი	22	(20,200)	(23,345)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(20,200)	(23,345)
მოგება დაბეგვრამდე		1,364,358	(615,215)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		1,364,358	(615,215)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		1,364,358	(615,215)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მოლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	-	-	(165,799)	(165,799)
წმინდა მოგება	-	-	(615,215)	(615,215)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(615,215)	(615,215)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	(781,013)	(781,013)
წმინდა მოგება	-	-	1,364,358	1,364,358
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,364,358	1,364,358
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	583,344	583,344

ფულადი ნაკადების მოძრაობა

კომპანიის დასახელება: შპს სი ეიჩ გრუპი - 31/12/2024

	2024	2023
საწყისი ნაშთი	19,832.71	87,046.22
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	5,563,523.95	2,272,901.87
მიღებული ავანსები	3,707,399.94	2,460,923.21
ვალდებულებების ცვლილება	(6,131,560.73)	(3,237,708.10)
სულ შემოსული თანხები	3,139,363.16	1,496,116.98
სხვა საოპერაციო თანხების ცვლილება:		
სახელფასო თანხების გაცემა	(944,882.90)	(664,922.00)
ხელფასის საშემოსავლო	(236,220.73)	(166,230.50)
საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	(944,852.28)	(419,604.70)
იჯარის თანხების ანაზღაურება	(42,394.72)	
სხვა ფიზიკური პირების ანაზღაურება	(568,874.50)	(199,444.13)
საბანკო მომსახურების თანხები	(6,082.60)	(3,664.41)
სულ გაცემული თანხები	(2,743,307.72)	(1,453,865.74)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციოსაქმიანობიდან	396,055.44	42,251.24
ძირითადი საშუალებების შეძენა	(160,790.95)	(7,336.49)
კაპიტალური ხარჯები	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	(160,790.95)	(7,336.49)
სესხის მიღება	-	-
სესხის ძირის ცვლილება	(83,466.33)	(72,090.14)
სესხის პროცენტის დაფარვა	(20,199.87)	(23,345.14)
ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული ცვლილება	(14,982.44)	(6,692.98)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(616.63)	
დივდენდის გაცემა	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(119,265.27)	(102,128.26)
სულ წლის ბრუნვა	115,999.22	
საბოლოო ნაშთი 31.12-ის მდგომარეობით	<u>135,831.93</u>	<u>19,832.71</u>

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „სი ეიზ გრუპი“ დარეგისტრირდა 2017 წლის 25 მაისს. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა და შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მდებარეობს საქართველოში და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 405209322.

კომპანიის აქციონერები არიან: ვახტანგ ქაცარავა - 50% და ნანა გაფრინდაშვილი - 50%.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობა მოიცავს საბითუმო ვაჭრობას რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით და მათ სამონტაჟო საქმიანობას. ბოლო პერიოდში კომპანიამ დაამატა საქმიანობაში წყალგაყვანილობის გათბობისა და ჰაერის კონდიციონერების, ასევე ელექტროტექნიკური სისტემების სამონტაჟო სამუშაოები.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საბურთალოს რაიონი, მირიან მეფის N17. საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL).

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მენეჯმენტს არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ (მსს ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

შეფასების საფუძველები. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული.

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ყველა მაჩვენებელი მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ

არის განსაზღვრული.

ოპერაციები და ნაშთები. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლის კურსით. უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მოგება და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაყვანიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯის სახით. წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არამონეტარულ მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.8068 ლარს და 1 ევრო = 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი 1 = 2.6894 ლარს და 1 ევრო = 2.9753 ლარს).

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას სხვა კონტრაგენტს.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა.

სესხი. სასესხო მოთხოვნები, თავდაპირველი შეფასების შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის მიერ. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. მფლობელის მიერ კომპანიაში არაფულადი შენატანები ფასდება შეტანილი აქტივების რეალური ღირებულებით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურება გაიწევა, კონკრეტული ოპერაციის დასრულების ეტაპის გათვალისწინებით. დასრულების ეტაპი განისაზღვრება, როგორც ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ხვედრითი წილი მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

შემოსავალი მოიცავს გაყიდულ პროდუქციასა და მომსახურებას კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის ფუნქციონირების ფარგლებში.

გაყიდვების თვითღირებულება. გაყიდვების თვითღირებულება მოიცავს ლიცენზიების და ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის თვითღირებულებას და ასევე მესამე მხარისგან შეძენილ იმ მომსახურებების ღირებულებას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია შემოსავლების მიღებასთან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი. ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის მიხედვით ითვალისწინებს გარკვეული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას, რომელიც უცვლელია შესადარისი პერიოდების განმავლობაში. მენეჯმენტის მიერ შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივ საფუძველზე ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ცვეთის გაანგარიშება ხდება ცვეთის წრფივი მეთოდის საფუძველზე, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად.

სასარგებლო მომსახურების ვადები:

კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
შენობა-ნაგებობა	20

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია განსაზღვრავს, დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობის დასაშვებ დონეს, რომელიც შეადგენს 90 კალენდარულ დღეს. დასაშვებ ვადაგადაცილების დონეს განსაზღვრავს 90-დან 180 დღემდე. ხოლო 6 თვიდან 12 თვემდე ვადაგადაცილებული მოთხოვნებისთვის ქმნის 50%-იან საექვო მოთხოვნის რეზერვს. 12 თვის და მეტი ხანდაზმულობის შემთხვევაში 100%-იან რეზერვს.

საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი. იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით, საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღრიცხვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯები შედის ფინანსურ შემოსავალში/ხარჯებში მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები(7)

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	99	1,654
ეროვნული ვალუტა ბანკში	135,672	19,568
უცხოური ვალუტა ბანკში	160	265
სულ	135,931	21,487

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები(8)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	384,178	385,199
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	-	-
გადახდილი ავანსები	-	-
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	(47)	(47)
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	-
მისაღები პროცენტები	-	-
სულ	384,131	385,152

7. მარაგები (9)

	2024	2023
გასაყიდი საქონლის მარაგები	970,524	954,609
საწვავი	1,355	1,330
მზა პროდუქცია	-	-
სულ	971,879	955,939

8. სესხები (11)

	2024	2023
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	174,323	258,905
საიჯარო ვალდებულება (გრძელვადიანი ნაწილი)	-	-
სულ სესხები	174,323	258,905

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (14)

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები(ადგილობრივი)	170,368	454,943
სავაჭრო ვალდებულებები(უცხოური)	(31,083)	3,790
მიღებული ავანსები	945,535	1,615,136
გადასახდელი მომსახურებები	-	-
გადასახდელი იჯარის მომსახურება	(4,203)	(4,041)
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	-	1,770

ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
სულ	1,080,618	2,071,599

10. ამონაგები (15)

	2024	2023
საქონლის გაყიდვა	8,635,663	2,898,638
მომსახურების გაწევა	-	-
სულ	8,635,663	2,898,638

11. თვითღირებულება (16)

	2024	2023
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(4,669,191)	(2,091,166)
საქონლის უკან დაბრუნება	44,388	24,285
ფიზიკური პირებისგან მიღებული მომსახურებების ხარჯი	(1,092,312)	(195,865)
საწვავის ხარჯი	(18,904)	(16,954)
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	(13,855)	(234,721)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-
სულ	(5,749,874)	(2,514,420)

12. სხვა შემოსავალი (17)

	2024	2023
უსასყიდლოდ მოწოდება	-	3,118
საიჯარო შემოსავალი	-	-
მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები	-	-
არასაოპერაციო მოგება	-	-
სულ	0	3,118

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (18)

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,202,998)	(845,955)
მივლინების ხარჯი	(6,558)	(9,851)
სხვა ხელფასთან გათანაბრებული ხარჯი	(14,761)	(3,552)
სოციალური დანარიცხები(საპენსიო)	(39,038)	(21,221)
სატრანსპორტო საშუალებების ხარჯები	(11,901)	(2,475)
კომპიუტერული და პროგრამული ხარჯები	(1,883)	(1,732)
სხვა საერთო ხარჯი	(6,099)	(8,987)
იჯარის ხარჯი	(51,018)	(49,931)
კომუნალური ხარჯები	(5,969)	(5,526)
კომუნიკაციის ხარჯები	(4,636)	(4,519)
დაზღვევის ხარჯი	(63,258)	(22,298)
რემონტი	(274)	(40)
საკანცელარიო ხარჯი	(714)	(2,560)
სამეურნეო ხარჯი	(3,774)	(3,716)
საბანკო ხარჯები	(5,506)	(3,637)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(27,470)	(19,443)
სულ	(1,445,855)	(1,005,442)

14. მიწოდების ხარჯები (19)

	2024	2023
რეკლამის ხარჯები	(17,272)	(15,883)
მარკეტინგული ხარჯი	-	-
დისტრიბუტორების შრომის ანაზღაურება	-	-
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(18,534)	(2,193)

სულ	(35,807)	(18,076)
------------	-----------------	-----------------

15. სხვა შემოსულობა/ზარალი (20)

	2024	2023
საკუროსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(14,112)	46,494
სულ	(14,112)	46,494

16. სხვა ხარჯები (21)

	2024	2023
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	(1,637)
მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
წარმომადგენლობით ხარჯი	-	-
დავალიანების ჩამოწერა		(38)
სხვა ხარჯები	(5,458)	(505)
სულ	(5,458)	(2,180)

17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა დაცვლილებისაგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მნიშვნელოვან

მოვლენას, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში დაკორექტირებას ან განმარტებას მოითხოვდა.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის მდგომარეობით

		12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	298,266	186,996
საინვესტიციო ქონება	4	-	-
ბიოლოგიური აქტივი	5	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	6	-	-
		298,266	186,996
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	135,931	21,487
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8	384,131	385,152
მარაგები	9	971,879	955,939
		1,491,941	1,362,578
მთლიანი აქტივები			
		1,790,207	1,549,574
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		583,344	(781,013)
		583,344	(781,013)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	174,323	258,905
ანარიცხები	12	-	-
გადავადებული შემოსავალი	13	-	-
		174,323	258,905
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	1,080,618	2,071,599
გადასახდელი ხელფასები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		(48,078)	84
გადასახდელი პროცენტი		-	-

გადასახდელი დივიდენდი	-	-
	1,032,540	2,071,683
მთლიანი ვალდებულებები	1,206,862	2,330,587
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	1,790,207	1,549,574

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2025 წლის 07 რს:
 ვახტანგ ქაცარავა
 დირექტორი

